

მოგების გადასახადის რეფორმის გავლენა საინვესტიციო გადაწყვეტილებაზე

ელეონორა გრიგოლია

მარიამი თოიძე

ნათია ცირეკიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლაში ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტზე საბანკო და საფინანსო საქმის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირება (საბანკო და საფინანსო საქმე)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თორნიკე კუჭავა, ეკონომიკის მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

აბსტრაქტი

მოგების გადასახადი ყველა განვითარებულ ქვეყანაში, ისევე როგორც საქართველოში, წარმოადგენს საბიუჯეტო შემოსავლების მნიშვნელოვან წყაროს. საგადასახადო შემოსავლები კი წარმოადგენს საბიუჯეტო შემოსავლების უდიდეს ნაწილს და მისი საშუალებით ხდებოდა და ხდება შესაძლებელი სახელმწიფო ინსტიტუტების შენახვა და ფუნქციონირება. მოგების გადასახადის ცვლილება საგადასახადო პოლიტიკის ქვაკუთხედი და თუ საჭიროა ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა ამისთვის ყველაზე კარგი ვარიანტია, რადგან დიდია მისი როლი და მნიშვნელობა როგორც საწარმოთა საქმიანობაზე, ისე ბიზნესის გააქტიურებასა და ქვეყნის ეკონომიკაზე.

ნაშრომის კვლევის მიზანს წარმოადგენს, გავიგოთ, თუ როგორ აისახება მოგების გადასახადის რეფორმა საინვესტიციო გადაწყვეტილებაზე, სად წავა დანაზოგი, ინვესტიციებსა თუ მოხმარებაში, რის გამო იქნა რეფორმა გატარებული სახელმწიფოს მიერ და რა მოლოდინები აქვს მთავრობას. ასევე რა უარყოფითი მხარეები გააჩნია რეფორმას და რა პრობლემები შეიძლება მოჰყვეს მის დანერგვას.

კვლევის მიზნის მისაღწევად შევავროვეთ და შევისწავლეთ ინტერნეტ რესურსში არსებული მონაცემები. ნაშრომში გამოყენებულია აქამდე ჩატარებული კვლევები, ნაშრომები, თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე სტატიები. აღნიშნული დაგვეხმარა, გამოგვევლინა მოგების გადასახადის რეფორმის გატარების შედეგად მიღებული შესაძლებლობები.

მოგების გადასახადის რეფორმის მოდელი გულისხმობს რეინვესტირებული მოგების გადასახადისგან გათავისუფლებას. მოგების დაუბეგრავი რეინვესტირების შესაძლებლობის შედეგად, შესაძლოა, გაიზარდოს (გაიზრდება) კომპანიის აქტივები, კაპიტალი, წარმოების საშუალებები და, აქედან გამომდინარე, ინვესტიციების განხორციელების მოტივაციაც.

Abstract

Tax represents foundation upon which the state has always stood. Tax income are the largest part of budget revenues and it becomes possible to save the state institutions and functioning. Without developing and improving of tax reform it would be impossible to develop country's economic, as it has great value and role as the activities of the enterprise, as well as activation of business and the economy.

The research goal is to understand how the profit tax reform effects on investment decision and on the budget incomes. Where will savings go, in investment or in consumption? Why was the reform implemented by state and what the expectations of the government is? Also, what are the disadvantages of reform and what kind of problems can be followed by it.

The goal we have collected and studied is the resource date. The article used previously conducted studies, papers, articles of theoretical and practical importance. Research conducted several interviews. This has helped us to identify opportunities resulting from the profit tax reform.

The profit tax reform model includes reinvested tax exemption and the main aim is to stimulate the economy. Re-investment opportunities, as a result showed that it may increase the company's assets, capital, means of production and hence the motivation for investment.